

- **პირველი 3 წლიანი ერთობლივი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა საქართველოში**
- **ორი უნივერსიტეტის დიპლომი**
- **სწავლა საზღვარგარეთ**
- **ქართველი და უცხოელი პროფესორები**
- **საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული სწავლება**



კავკასიის უნივერსიტეტის და რენის ბიზნესის სკოლის

**ბიზნესის ადმინისტრირების ერთობლივი 3 წლიანი საბაკალავრო პროგრამა**

1220103

## საკონტაქტო ინფორმაცია:

**თათია მაისურაძე**

საბაკალავრო პროგრამების ადმინისტრაციული დირექტორი

☎ + (995 32) 237 77 77 (123)

☎ +995 577 399 857

@ tmaisuradze@cu.edu.ge

**ელენე ჯღარკავა**

დეკანი


☎ + (995 32) 237 77 77 (330)

☎ +995 595 300 885

@ ejgarkava@cu.edu.ge







## კავკასიის უნივერსიტეტის და რენის ბიზნესის სკოლის ურთიერთთანამშრომლობა



კავკასიის უნივერსიტეტი და რენის ბიზნესის სკოლა 2018 წლიდან თანამშრომლობენ. თანამშრომლობის ფარგლებში რენის ბიზნესის სკოლის ბაზაზე გახსნილია კავკასიის უნივერსიტეტის ევროპული კამპუსი, რაც საქართველოში პირველი პრეცედენტი. ურთიერთთანამშრომლობა ითვალისწინებს მხარეებს შორის - სწავლების, კვლევისა და ერთობლივი სასწავლო პროგრამების, პროექტების განხორციელებას. მათ შორისაა კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლისა და რენის ბიზნესის სკოლის ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა.

### ბიზნესის ადმინისტრირების ერთობლივი პროგრამა:

კავკასიის უნივერსიტეტისა და რენის ბიზნესის სკოლის (საფრანგეთი) ერთობლივი პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში პირველი 3 წლიანი საბაკალავრო პროგრამა საქართველოში, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტი მიიღებს ორი უნივერსიტეტის დიპლომს.

ბიზნესის დარგში ერთობლივი პროგრამა პირველია და არ აქვს ანალოგი საქართველოში.

პროგრამა სტუდენტს ანიჭებს კავკასიის ბიზნესის სკოლისა და რენის ბიზნესის სკოლის ბაკალავრის ხარისხს მენეჯმენტში.

3 წლიანი საბაკალავრო პროგრამა გულისხმობს პირველ და მეორე წელს საქართველოში სწავლას, ქართველი და უცხოელი პროფესორების მიერ, ხოლო მესამე წელს სტუდენტი სწავლას აგრძელებს რენში, საფრანგეთში.

### პროგრამის მიმოხილვა:

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** მენეჯმენტის ბაკალავრი

**კრედიტების რაოდენობა:** 184 ECTS კრედიტი

**პროგრამის ხანგრძლივობა:** 3 წელი

**პროგრამის წლიური საფასური რეზიდენტებისთვის:** 6100 €

**პროგრამის წლიური საფასური არარეზიდენტებისთვის:** 8500 €

**პროგრამის კოდი აბიტურიენტების ცნობარში:** 1220103

**\*ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში პროგრამაზე ვრცელდება სახელმწიფო გრანტი - 100%, 70%, 50%**

### კავკასიის ბიზნესის სკოლა:

კავკასიის ბიზნესის სკოლა დაარსდა 1998 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დაფინანსებით, რომელიც განხორციელდა ევრაზიის ფონდისა და ა.შ.შ.-ს საინფორმაციო სააგენტოს (USIA) მიერ გამოყოფილი გრანტით. ბიზნესის სკოლის უპირატესობებია:

- კურსდამთავრებულთა გლობალურ კომპანიებში დასაქმების შესაძლებლობა - Amazon, EBRD, EY, Deloitte, PwC, Citi Bank, British American Tobacco, HSBC, Accenture და სხვა
- კავკასიის ბიზნესის სკოლა და მისი აკადემიური პროგრამები წამყვან ადგილებს იკავებენ ისეთ საერთაშორისო რეიტინგებში, როგორებიცაა: Financial Times, Eduniversal Rankings, QS Global MBA Rankings
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების 98%-იანი მაჩვენებელი ადგილობრივ წამყვან ფინანსურ ინსტიტუტებში, საკონსულტაციო, სარეკლამო, აუდიტორულ ორგანიზაციებსა და სხვა ბიზნეს სექტორის წამყვან კომპანიებში საშუალო და მაღალი რგოლის პოზიციებზე
- თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რომელიც კურსდამთავრებულებს გლობალური სტარტაპების შექმნისა და მართვის შესაძლებლობას აძლევს



- AACSB-ის აკრედიტაციის ორი მნიშვნელოვანი ეტაპი (AACSB-ის აკრედიტაცია არის ხარისხის უმაღლესი სტანდარტი, რომელიც მსოფლიო ბიზნესის სკოლების საუკეთესო 5% პროცენტს აერთიანებს)
- ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მენეჯმენტის განვითარების ასოციაციის (CEEMAN) აკრედიტაცია ბიზნესის სკოლის პროგრამებზე

### რენის ბიზნესის სკოლა:

რენის ბიზნესის სკოლა დაარსდა 1990 წელს საფრანგეთში, ქალაქ რენში. დღეისათვის ის ახორციელებს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით სხვადასხვა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს. კამპუსი მოიცავს 4 სასწავლო შენობას და სტუდენტურ საერთო საცხოვრებელს.

### რენის ბიზნესის სკოლის საერთაშორისო აღიარება და რეიტინგები:

რენის ბიზნესის სკოლას მოპოვებული აქვს სამმაგი საერთაშორისო აკრედიტაცია:



რენის ბიზნესის სკოლა და მისი აკადემიური პროგრამები წამყვან ადგილებს იკავებენ ისეთ საერთაშორისო და ადგილობრივ რეიტინგებში, როგორებიცაა: Financial Times, MOCI 2021, QS – World University Rankings, L'Étudiant Bachelor Ranking, Le Parisien-2021 Best French Business Schools, Pamarès Le Point 2021.



←  
**რენის  
ბიზნესის სკოლა**

